

## მოსაგვარებელი საკითხები აღმნიშნის სახელთა გარეგნისას

აღმნიშნის სახელთა ფუძე ქართულში შეიძლება ბოლოვდებოდეს როგორც ხმოვან, ისე თანხმოვან ბგერებზე. ხმოვან ბგერებზე ბოლოვდება ფუძეები სახელები-სა: **პაპუნა, მამუკა, კახა, ილია, ნათელა, ცისანა, მართა; ალექსანდრე, პეტრე, პავლე, ელენე, მაკრინე, ბარბარე; ნინო, დოდო, სოსო, ქაიხოსრო; ნუნუ; ირაკლი, აკაკი, გიორგი, დიმიტრი, ედუკი, ლილი...** თანხმოვან ბგერებზე უბოლოვდება ფუძეები სახელებს: **ვახტანგ-ი, დავით-ი, არჩილ-ი, გურამ-ი, ნოდარ-ი, ვასილ-ი, თამარ-ი, ქეთევან-ი, დარეჯან-ი, როდამ-ი, თინათინ-ი...**

როცა სახელის ფუძე **ა, ე, ო ან უ** ხმოვანზე ბოლოვდება, ასეთი სახელის ბრუნებისას წესის დარღვევას არ ვხვდებით. ბოლოვიდური ხმოვანი არსად არ მოეკვეცება, სახელობითი ბრუნვის ფორმა (ე. ი. დასახელების ფორმა) და მიმართვის ფორმა ერთგვარია, ერთგვარია აგრეთვე მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვის ფორმები:

<b>სახელობითი</b>	—ნათელა
<b>მოთხრობითი</b>	—ნათელა-მ
<b>მიცემითი</b>	—ნათელა-ს
<b>მიმართულებითი</b>	—ნათელა-დ
<b>ნათესაობითი</b>	—ნათელა-ს(ი)
<b>მოქმედებითი</b>	—ნათელა-თი
<b>წოდებითი</b>	
<b>(მიმართვის ფორმა)</b>	—ნათელა

როცა სახელის ფუძე ი ხმოვანზე დაბოლოებული ან როცა სახელს ფუძის ბოლოვიდურად თანხმოვანი ბგერა მოუდის, მაშინ სახელობითი ბრუნვის ფორმაში (ე. ი. დასახელების ფორმაში) ამგვარ სახელები გარეგნულად ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან. ერთი მხრით, გვაქვს: **ვახტანგი, გურამი, არჩილი, თამაზი, თამარი, როდამი** და სხვ., ხოლო, მეორე მხრით: **ალექსი, აკაკი, გიორგი, დიმიტრი, ირაკლი, ლილი, მერი** და სხვ. მაგრამ, თუ პირველი წყების სახელებში (**ვახტანგი, გურამი...**) ბოლოვიდურა ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია და სხვა ფორმებში (ერთკვით, მოთხრობითსა და მიცემით ბრუნვებში, მიმართვის ფორმაში) არ გადაჰყვება სახელებს, მეორე წყების სახელებში (**ალექსი, გურამი...**) ი, რაკი ფუძისეულია, სხვა ფორმებშიც გვექნება (ერთკვით, მოთხრობითსა და მიცემით ბრუნვებში, მიმართვის ფორმაში). ამიტომაც, რომ, ერთი მხრით, გვაქვს: **გურამ-ი** ხატავს, **გურამ-მა** დახატა, **გურამ-ს** დაუხატავს; მიმართვისას—**გურამ!** მეორე მხრით, გვაქვს: **ალექსი** ხატავს, **ალექსი-მ** დახატა, **ალექსი-ს** დაუხატავს; მიმართვისას—**ალექსი!**

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია შედეგი, რაც მოჰყვა იმ ფაქტს, რომ სახელობითი ბრუნვის ფორმანტი ქართულში ი- სუფიქსი იყო: ქართულში აღარ შემოგვრჩა ი ხმოვანზე დაბოლოებული ქართული ფუძეები. ერთადერთ ვინაცვალსახელს მოუღის ფუძის ბოლოკიდურად ი ხმოვანი და ისიც იმიტომ, რომ საკუთარი სახელობითი არა აქვს (მოთხრობითი ბრუნვის ფორმა სახელობითისათვისაც გამოყენებული), ი სიტყვის ბოლოკიდურად არ მოხვდა, ბოლოკიდური ნ-ც არ აღიქმებოდა მოთხრობითის ფორმანტად და საერთოდ მთელი სიტყვა დაშლას არ ექვემდებარებოდა.

ამრიგად, ბევრი ქართული ფუძე, რომლებიც ი ხმოვანზე ბოლოვდებოდა, დასახელებული მიზეზის გამო ი-ს ჩამოცილების შედეგად თანხმოვანფუძიან სახელთა წყებაში მოექცა.

ცნობილია აგრეთვე, რომ ქართულ ენაში შემოსულმა უცხოურმა სიტყვებმაც ქართული სიტყვების ბედი გაიზიარეს: ქართულში მათაც ჩამოსცილდა ფუძის ბოლოკიდური ი ხმოვანი და თანხმოვანფუძიან სახელთა ჯგუფს შეუერთდნენ. ასეთი სიტყვებია, მაგალითად: **მონასტერი**, **პარასკევი** (ბერძნ.), **ყადი**, **მუშტარი** (არაბ.), **აბაზი**, **ზანგი** (სპარს.), **ელჩი**, **გემი**, **ყუთი** (თურქ.) და **ზოგი** სხვა (აქ. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, გვ. 67, თბილისი, 1953).

ადამიანთა უცხოური სახელები, ე. წ. „კალენდრის“ სახელები, როცა ქართულში შემოდიოდა, თუ მათ ფუძის ბოლოკიდურად ი ხმოვანი ჰქონდათ, ჩვეულებრივ ეს ი ხმოვანი ფუძეს შერჩებოდა. ამის გამოა, რომ გვაქვს ბევრი სახელი, რომლებსაც ფუძე ი ხმოვანზე უბოლოვდება: **აკაკი** (მოთხრ.—**აკაკი-მ**, მიმართვისას—**აკაკი!**), **ამბროსი** (მოთხრ.—**ამბროსი-მ**, მიმართვისას—**ამბროსი!**), **გერონტი**, **გიორგი**, **ევხევი**, **ირაკლი**, **ალექსი** და მისთ. ამ წესს დაექვემდებარენ უფრო გვიან შემოტანილი სახელებიც: **ანატოლი** (მოთხრ.—**ანატოლი-მ**, მიმართვისას—**ანატოლი!**), **მერი**, **ლილი** და მისთ. მაგრამ ზემოდასახელებული პროცესი ფუძის ბოლოკიდური ი ხმოვნის სახელობითის ბრუნვის ფორმანტად გაგებისა და ფუძეს ჩამოცილებისა იმდენად ძლიერი იყო, რომ არათუ მხოლოდ ზოგადი სახელები მოიცვა, არამედ ადამიანთა სახელებშიც ასე თუ ისე გავრცელდა.

ამიტომაც, რომ ადამიანთა სახელებში (**ანტონი**, **გრიგოლი**, **ბასილი** და **ზოგი** სხვაც), რომლებშიაც ბოლოკიდური ი წარმოშობით ფუძეს განეკუთვნება, ეს ი ბევრ შემთხვევაში მართლაც ფუძისეულად იყო მიჩნეული ძველ ქართულში და ამიტომ მიცემით ბრუნვაში **ანტონი-ხ**, **გრიგოლი-ხ**, **ბასილი-ხ**, ხოლო მიმართვისას **ანტონი! გრიგოლი! ბასილი!** ფორმებით იყო წარმოდგენილი. მაგრამ უკვე ძველს ქართულში ამ სახელებში ბოლოკიდური ი სახელობითი ბრუნვის ფორმანტად იქნა გაგებული და სხვა ფორმებში ჩამოსცილდა. მიცემითში დამკვიდრდა **ანტონ-ხ**, **გრიგოლ-ხ**, **ბასილ-ხ** და ა. შ. ფორმები, ხოლო მიმართვისას—**გრიგოლ!** **ანტონ!** **ბასილ!** თანამედროვე ქართულში ასეთი ფორმები ერთადერთია და ეს სახელები თანხმოვანფუძიან სახელთა ჯგუფს განეკუთვნებიან.

სახელობითი ბრუნვის ნიშნადაა გაგებული ი სიტყვებში: **ნუგეშ-ი** და **თაყვან-ი** (მოთხრ.—**ნუგეშ-მა**, **თაყვან-მა**; მიცემ.—**ნუგეშ-ხ**, **თაყვან-ხ**; მიმართვისას—**ნუგეშ-ო**: ჩემო ნუგეშო! ამ ფუძეთაგან ახალი ფუძეებიც კია წარმოქმნილი: **სა-თაყვან-ო**, **უნუგეშ-ო**...). საყოველთაოდ ცნობილია, რომ პირველი მიღებულია გამოთქმისაგან **ნუ გეშის**, **ნუ გეშინის!** მეორე კი მიღებულია სიტყვისაგან **თაყვანისცემა**.

ქართულში კარგა ხანია შეიმჩნევა ამ პროცესის საწინააღმდეგო შემთხვევებიც. მაგალითად, XVI—XVII საუკუნეების ქართულში შემოსული სახელი გივი თანხმოვანზე იყო დაბოლოებული, ისევე როგორც, ვთქვათ, დავითი და ისევე იბრუნოდა, როგორც ეს უკანასკნელი: სახელობითი—გივი-ი, მოთხრ.—გივი-მ-ა, მიცემ.—გივი-ს; მიმართვისას—გივი! (შდრ.: სახელობითი—დავით-ი, მოთხრ.—დავით-მ-ა, მიცემ.—დავით-ს; მიმართვისას—დავით!). ამჟამად ამ სახელში ი საესე-ბით შეეზარდა ფუძეს და შესაბამისი ფორმები საბოლოოდ დამკვიდრდა როგორც სალიტერატურო ენაში, ისე ჩვეულებრივ საიტყუარებაში: სახელობითი—გივი, მოთხრ.—გივი-მ, მიცემ.—გივი-ს; მიმართვისას—გივი!

ასეთივე პროცესი შეიმჩნევა თანამედროვე ქართულში სახელებში: ეთერ-ი (მოთხრ.—ეთერ-მ-ა, მიც.—ეთერ-ს; მიმართვისას—ეთერი!), უშანგ-ი (მოთხრ.—უშანგ-მ-ა, მიც.—უშანგ-ს; მიმართვისას—უშანგ!).

### მაგალითები:

უდიდესი მწვერვალი, რომელზედაც უშანგი ჩხიძე ავიდა, როგორც შემოქმედი მსახიობი, იყო ჰამლეტი (ა. თევზაძე, „უშანგი ჩხიძე“, სახელგამი, 1955, გვ. 53). პირველი ძლიერა შთაბეჭდილება პატარა უშანგიზე მოახდინა იმჟამად ჭიათურის თეატრში მომუშავე გამორჩეული მსახიობმა ვალერიან შალიკაშვილმა (იქვე, გვ. 25). კიდევ უფრო ფართოდ გამოამყვანა არტიტული ნიჭი უშანგიმ საწინააღმდეგო შეილის „ლატავრაში“ (იქვე, გვ. 31).

ჩემო უშანგი! ჰამლეტი იყოს მხოლოდ დასაწყისი იმ დიდი გზისა, რომელსაც, მგერა გაივლი, როგორც დიდი შემოქმედი (იქვე, გვ. 33).

სულ რამდენი კაპიცი დაუხარავს ეთერი ს? (შ. იაშვილი და ნ. კვიციანი, ართიმე-ტიკული ამოცანებისა და სავარჯიშოების კრებული, 1 კლ. სახელმძღვ., თბილისი, 1953, § 869).

მე შინაზვს,—თქვა ეთერი მ... გაიცინა ეთერი მ („არაოცხალი ბუნება“, IV კლ. სახელმძღვ., გვ. 35, თბილისი, 1954).

ფუძის ბოლოკიდური ი ხმოვნის სახელობითი ბრუნვის ფორმანტად გავე-ბისა და, მაშასადამე, ფუძეს ჩამოკიდების თვალსაზრისით წინა ეპოქის სალიტე-რატურო ენასთან შედარებით თანამედროვე სალიტერატურო ქართულში არსე-ბითი ხასიათის ცვლილებები არ მომხდარა. ახლად შემოსული ადამიანთა სახელები ძველ წესს ექვემდებარებიან: ფუძის ბოლოკიდურ ი-ს ვინარჩუნებთ. ამით დაემატა უცხოური გვარება და გეოგრაფიული სახელები, რომელთაც ფუძის ბოლოკიდუ-რად ი აქვთ: ტორიჩელი, ბოტიჩელი, მაძინი, გარიბალდი, ტოლიატი... გორკი, ჩერნიშევსკი, დოსტოევსკი, ტოლსტოი, ბუდიონი... ტრიპოლი, დელი... ზო-გადი სახელებიდან: ჩაი, პაი, ტრამვაი... ეს კია, რომ, თუ ეს სახელები მხოლო-ობითი რიცვის ფორმებში ინარჩუნებს ფუძის ბოლოკიდურ ი-ს, მრავლობითში (როცა კი მრავლობითის ფორმის წარმოება შესაძლებელია) ი უსათუოდ ჩამო-შორდება. ერთადერთი ფორმებია: გარიბალდები, ტორიჩელები, ჩერნიშევსკები, ტოლსტოები... ასევე ჩვეულებრივია პაეები, ტრამვაეები... ი ჩამოშორდება წარ-მოების შემთხვევაშიც: გარიბალდი — გარიბალდე-ელ-ი. გეოგრაფიული სახელები მრავლობითში არ ინმარება, მხოლოდობითში ფუძის ბოლოკიდურ ი-ს ვინარჩუნებთ, მაგრამ თანდებულის დართვისას ამ ი-ს შენარჩუნება თანდათან ძნელი ხდება: კონფერენცია ჩატარდა ინდოეთის დედაქალაქ დელიში... ტრიპოლიმდე (ან დე-ლიმდე) თვითმფრინავით ვიმზავრეთ... თვითმფრინავმა ტრიპოლიზე გადაიფრი-ნა... ასეთი ფორმები ნორმა სალიტერატურო ენაში, მაგრამ სასაუბრო ენაში ბოლოკიდური ი ჩვეულებრივ იკვეცება და მართებულ ტრიპოლიმდე, დელიში ფორმებს უმართებულო ტრიპოლში, დელში ფორმები ცვლის.

სამაგიეროდ საკმაოდ მწვავედ იგრძნობა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში პროცესი სახელობითი ბრუნვის -ი ფორმანტის ფუძესთან შეზრდისა, რამაც შედეგად გიგ-მა, გიგ-ს ფორმათა ნაცვლად მოგვცა გიგი-მ, გივი-ს ფორმები და რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ნაწილობრივ გავრცელდა ეთერ-, უშანგ- სახელებზედაც. ეს პროცესი სასაუბრო მეტყველებაში ვრცელდება საერთოდ თანხმოდანფუძიან ადამიანთა სახელებზე, მაინცდამაინც ამ სახელთა იმ ნაწილზე, რომელიც განსაკუთრებით ფართოდაა ხმარებული. ამის შედეგია ისეთი ფორმების ხმარება, როგორიცაა: მიმართვისას—**ნოღარი! გურამი! ვახტანგი! თამარი! ნესტანი!** მოთხრობითში—**ნოღარი-მ, გურამი-მ, ვახტანგი-მ, თამარი-მ, ნესტანი-მ;** მიცემითში—**ნოღარი-ს, გურამი-ს, ვახტანგი-ს, თამარი-ს, ნესტანი-ს** და ა. შ. სასაუბრო მეტყველებიდან ეს ფორმები არცთუ იშვიათად გადადის სალიტერატურო ენაშიც, მაინცდამაინც მხატვრული ლიტერატურის ენაში და ამრიგად თანამედროვე სალიტერატურო ენაში ფართოდ ვრცელდება გაუმართლებელი და მცდარი ფორმები. ქართულიდან რუსულად თარგმნის დროს ასეთი ფორმები ადამიანის ქართული სახელებისა გადადის თარგმანში და რუსულშიც ვრცელდება ქართული სახელების მცდარი დაწერილობა.

ყურნალ „მნათობის“ ერთ-ერთ ნომერში, მაგალითად, ასეთი ფორმა გვხვდება: როგორც გამოირკვა, ნოღარის ხუმრობით წებო დაუსხანს სკანზე („მნათობი“, № 10, 1960: მარიამ ხვედელიძე, „მარიჯანის საბავშვო მოთხრობები“).

ქართულ ადამიანის სახელთა მცდარი ფორმების გავრცელების მიზეზი რამდენიმეა.

პირველ ყოვლისა ის ფაქტია აღსანიშნავი, რომ სახელობითის ი ფუძეს არა ყველა თანხმოდანფუძიან სახელებში ეხორცება. აღნიშნული მცდარი ფორმები გვხვდება:

1. იმ სახელებში, რომლებიც აღმოსავლური წარმოშობისაა, განსაკუთრებით XVI—XVII საუკუნეებიდან გავრცელდა საქართველოში, ხოლო დღეს წმინდა ქართულ სახელებდაა მიჩნეული და ამიტომ არქმევენ ხშირად ბავშვებს. ასეთებია: **რევაზი, თამაზი, ჯუმბერი, ჯუანშერი, ჯიმშედი, ოთარი, როდამი, ზეინაბი, რამინი** და მისთ.

2. იმ სახელებში, რომლებიც თურქული წარმოშობისაა და უკანასკნელ ხანებში ყალბი ეგზოტიკისადმი მისწრაფების შედეგად აგრეთვე ძალიან გავრცელდა. ასეთებია: **ჯემალი, ენვერი, მურთაზი, ომარი** და მისთ.

3. იმავე მისწრაფების შედეგად უკანასკნელ ხანებში ჩვენში ფართოდ გავრცელებულ ევროპულ სახელებში, მათ შორის ისეთებშიც, რომლებიც ლიტერატურული წარმოშობისანი არიან. ასეთებია: **ჰენრიხი, ალბერტი, რობერტი, ზიგფრიდი, ზიგმუნდი, შამლეტი, ტრისტანი** და მისთ.

4. ახალ შერქმულ სახელებში, რომლებიც მიღებული ან უცხოური გვარების გამოყენებით (**ენგელსი, ჟორესი, ბინმარკი, ცეზარი...**), ან დედისა და მამის სახელების დასაწყისი მარცვლების შეერთებით (**დეომერი, გრიფერი...**), ან გამოჩენილ პირთა გვარების დასაწყისი მარცვლებისა ან ბგერების შეერთებით (**მელსი, მარტენი...**), ან სხვადასხვა გამოთქმებში შემაჯღლილ სიტყვათა დასაწყისი ასოების შეერთებით (**დაზმირი, მელორი...**).

5. იმ სახელებში, რომლებიც ქართული გამონათქვამებისაგანაა შედგენილი (**მზევიანარი, ქალთათავი, დედისიმედი, გულნაზი, დედისთვალი, თეთრქალი...**),

რა აქვთ საერთო ამ სახელებს, ან რით უპირისპირდებიან ისინი საერთოდ გავრცელებულ ცნობილ სახელებს, როგორიცაა, ვთქვათ, **დავით-ი, მიხეილ-ი,**

გრიგოლ-ი, სიმონ-ი, თამარ-ი, თინათინ-ი და მისთ., რომელთა გამოყენებისას ზემოდასახელებულ მცდარ ფორმებს იშვიათად ვხვდებით?

მხოლოდ იმით, რომ ამ უკანასკნელთ ყველას მოეპოვება საშინაოდ სახ-მარი, მოფერებითი, ასე ვთქვათ, საბავშვო ვარიანტები (დავით-ი: დათო, დათი-კო, დათა, დათუნა; მიხეილ-ი: მიხა, მიხო, მიხაკო; გრიგოლ-ი: გიგო, გიგა, გიგოლი; სიმონ-ი: სიკო, სიმონიკა; თამარ-ი: თამრო, თამრიკო; თინათინ-ი: თინა, თინიკო და ა. შ.), მაშინ როდესაც ზემოთ დასახელებულ სახელებს საშინაო-ნაო, მოფერებითი ფორმები არ უყვებოდა. სასაუბრო მეტყველებამ ერთგვარი კომპენსაცია მოახდინა იმ მხრივ, რომ მოფერებით ფორმად სწორედ ი-ნიანი ფორ-მები (ე. ი. სახელობითი ბრუნვის -ი ფუძეს რომაა შეზარდილი, ის ფორმები) გამოიყენა. მართლაც, გუჩამი, ოთარი და მისთ. ფორმები დღევანდელ ქართულში მოფერებითის შინაარსის შემცველია ყოველთვის.

საკმარისია ზემოთ დასახელებულ სახელთაგან რომელიმეს მართალი მოფე-რებითი ფორმა გაუკეთდეს, რომ მცდარი ფორმა უმალ ქრება. მაგალითად, ვინც რომელიმე ფთარს ან ზურაბს ოთარიკოს ან ზურციკოს დაუძახებს, მას ეძნელება დაუძახოს: ოთარი! ზურაბი!

ესეც კია, რომ ქართულად წესიერად ნაწარმოები მოფერებითი სახელების დაძახება შვილისათვის ბევრ მშობელს ძალიან ეხამუშება და ერთგვარად დამამცი-რებელადაც კი მიიჩნია. ეს მაშინ, როდესაც აქამდე მართლა კნინობითის ფორმაც კი არ ითვლებოდა დამამცირებლად, თუ იგი გარკვეული ემოციური ელფერიით იქნებოდა გამოყენებული.

მაგალითად, ვის არ ახსოვს რ. ერისთავის ლექსი:

შევებმოდი მე ციგაში  
და ზედ მიჯდა გოგოელა,  
გადაბრუნდის ჩვენი ციგა,  
კოტრიელა, კოტრიელა!

იროდიონ ევლოშვილს აქვს ორი შესანიშნავი საბავშვო მოთხრობა. ერთის სათაურია: „წერილი ბებიას ჩურჩხელებთან“. მას ახლავს მიძღვნა: „ვუძღვნი ჩემს თამრიკელას“ მეორის სათაურია: „პასუხი ქალბატონ თამრიკელას“.

შიო მღვიმელის ერთ-ერთ ლექსს ასეთი მიძღვნა ჰქონდა თავის დროზე დარ-თული: „ჩემ კუდრაჭა, წიწკნატელას, რომ უცინის ტკბილად ყველას, ცუგრუმელას, ცისარტყელას—ბართაშვილს მარიკელას“.

აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ აღნიშნულ მცდარ ფორმათა აღკვე-თის ერთ-ერთ საშუალებათაგანს წარმოადგენს გავრცელება ისეთი სახელებისა, რომელთაც საშინაო, მოფერებითი ვარიანტები აქვთ, და კატეგორიულად აღკვეთა ყალბი ეგზოტიკისადმი მისწრაფების შედეგად შემოღებული სახელებისა.

უსათუოდ ხელს უწყობს აღნიშნული მცდარი ფორმების გავრცელებას ზოგი დიალექტის, კერძოდ ქვემოიმერულის, განსაკუთრებით სამტრედიის-ვანის სექტო-რის მეტყველების გავლენა. ის ფაქტი, რომ ამ მეტყველებაში თანხმოვანფუძიან მსაზღვრელ სახელს ყველა ბრუნვაში შეეზარდა სახელობითის ი და განსაკუთრე-ბით ის, რომ გვარის წინ დასმული თანხმოვანფუძიანი სახელი ყოველთვის სახე-ლობითშია იმის მიუხედავად, რომელ ბრუნვაშიც უნდა იყოს გვარი, ხელის შე-მწყობი ფაქტორი აღმოჩნდა ოთარიმ, ნუგზარიმ და მისთ. ფორმათა გავრცელე-ბისათვის.

სალიტერატურო ენაშიც გვხვდება ზოგჯერ შემთხვევები სიების შედგენისას გვარის შემდეგ დასმული სახელის ი დართული ფორმით ხმარებისა:

აბაშიძე მიხეილი  
ბაქრაძე ვახტანგი  
გედევანიშვილი დავითი  
დარახველიძე ოთარი  
ერისთავი თამარი...

ეს ფაქტიც ხელისშემწყობი ფაქტორია ი შეზრდილი ფორმების გავრცელებსა. ამიტომაც იყო, რომ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენმა მუდმივმა სახელმწიფო კომისიამ ერთ-ერთი დადგენილებით (იხ. მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვარულთან ბრუნვაში) აღკვეთა ასეთი ფორმების ხმარება და გადაწყვიტა, რომ ასეთ შემთხვევაში სახელი მხოლოდ ფუძის სახით იწერებოდეს:

აბაშიძე მიხეილ  
ბაქრაძე ვახტანგ  
გედევანიშვილი დავით  
დარახველიძე ოთარ  
ერისთავი თამარ...

დასასრულ, თანხმოვანფუძიან ადამიანთა სახელებში მცდარი ფორმების გავრცელების ერთ-ერთი საფუძველთაგანი შეიძლება იყოს შემდეგი ფაქტიც.

ცნობილია, რომ წოდებითის **ო**, რომელიც ამჟამად იმნაირადღე დაერთვის ფუძეს, როგორც სხვა ბრუნვის ფორმანტები, წარმოშობით შორისდებულა. მიმართვისას (დაძახებისას) ეს შორისდებული დაერთოდა სახელს. შეიძლება დართოდა თავში, შეიძლება დართოდა ბოლოში, უმეტესად, როგორც ჩანს, ბოლოში. კილოებში ხმის ამაღლება მიმართვისას ამ **ო** ხმოვანზე მოდიფდა და მოდის, ხოლო, თუ **ო** არ გვაქვს, მაშინ სიტყვის ბოლოკიდურ სხვა ხმოვანზე; ბუნებრივია, რომ ეს ხმოვანი გავრცელებულად გამოითქმის. მიმართვის ფორმის კილოურ წარმოთქმას ღღეს მკვეთრად უპირისპირდება ლიტერატურული წარმოთქმა მიმართვის ფორმისა, ლიტერატურულ წარმოთქმაში კი ხმის ამაღლება სიტყვის დასაწყისშია. კილოური წარმოთქმა სალიტერატურო ენაშიც იჭრება. ხმოვანზე დაბოლოებულ სახელებს ეს წარმოთქმა ადვილად ეგუება (ბოლოში ხმოვანი ბგერა აქეთ და ამიტომ), თანხმოვანფუძიანებს კა—გერა. ამის გამო თანხმოვანფუძიანი სახელები იჩენენ ტენდენციას, ბოლოკიდურად ხმოვანი გაიჩინონ და ზემოთ დასახელებული სხვა ფაქტორების თანამოქმედებით სწორედ ი ხმოვანი ჩნდება.

ი-ს ფუძესთან შეზრდის პროცესი, ცხადია, წოდებითში, მიმართვის ფორმაშია დაწყებული და აქედან გადავიდა ინიანი ფორმები შემდგომ მოთხრობითსა და მიცემით ბრუნვებში.

ადამიანთა სახელების მცდარი ფორმების გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო. ბუნებრივია, რომ პირველ ყოვლისა უნდა მტკიცედ ვიცოდეთ, რომელ სახელებშია ი ფუძის ბოლოკიდური და, მაშასადამე, გადააყვება სახელს მოთხრობითსა და მიცემითს ბრუნვებში და მიმართვის ფორმაში, და რომელ სახელებშია ი სახელობითი ბრუნვის ნიშანი და, მაშასადამე, არ გადააყვება მოთხრობითსა და მიცემით ბრუნვებში და მიმართვის ფორმაში.

ასეთი სახელების სია აქვე ერთვის.

**A. სახელები, რომლებშიც ი ფუძეს განეკუთვნება**

- ალათი (მოთხრ.—ალათი-მ, მიცემ.—ალათი-ს; მიმართვისას—ალათი!)  
 დალი (მოთხრ.—დალი-მ, მიცემ.—დალი-ს; მიმართვისას—დალი!)  
 დესი (მოთხრ.—დესი-მ, მიცემ.—დესი-ს; მიმართვისას—დესი!)  
 ელუკი (მოთხრ.—ელუკი-მ, მიცემ.—ელუკი-ს; მიმართვისას—ელუკი!)  
 ვასასი (მოთხრ.—ვასასი-მ, მიცემ.—ვასასი-ს; მიმართვისას—ვასასი!)  
 ლალი (მოთხრ.—ლალი-მ, მიცემ.—ლალი-ს; მიმართვისას—ლალი!)  
 ლილი (მოთხრ.—ლილი-მ, მიცემ.—ლილი-ს; მიმართვისას—ლილი!)  
 მერი (მოთხრ.—მერი-მ, მიცემ.—მერი-ს; მიმართვისას—მერი!)  
 ნანული (მოთხრ.—ნანული-მ, მიცემ.—ნანული-ს; მიმართვისას—ნანული!)  
 ფატი (მოთხრ.—ფატი-მ, მიცემ.—ფატი-ს; მიმართვისას—ფატი!)  
 ავქსენტი (მოთხრ.—ავქსენტი-მ, მიცემ.—ავქსენტი-ს; მიმართვისას—ავქსენტი!)  
 აკაკი (მოთხრ.—აკაკი-მ, მიცემ.—აკაკი-ს; მიმართვისას—აკაკი!)  
 ალექსი (მოთხრ.—ალექსი-მ, მიცემ.—ალექსი-ს; მიმართვისას—ალექსი!)  
 ალფესი (მოთხრ.—ალფესი-მ, მიცემ.—ალფესი-ს; მიმართვისას—ალფესი!)  
 ამბერკი (მოთხრ.—ამბერკი-მ, მიცემ.—ამბერკი-ს; მიმართვისას—ამბერკი!)  
 ამბროსი (მოთხრ.—ამბროსი-მ, მიცემ.—ამბროსი-ს; მიმართვისას—ამბროსი!)  
 არკადი (მოთხრ.—არკადი-მ, მიცემ.—არკადი-ს; მიმართვისას—არკადი!)  
 ბადრი (მოთხრ.—ბადრი-მ, მიცემ.—ბადრი-ს; მიმართვისას—ბადრი!)  
 ბიკენტი (მოთხრ.—ბიკენტი-მ, მიცემ.—ბიკენტი-ს; მიმართვისას—ბიკენტი!)  
 გენადი (მოთხრ.—გენადი-მ, მიცემ.—გენადი-ს; მიმართვისას—გენადი!)  
 გერვასი (მოთხრ.—გერვასი-მ, მიცემ.—გერვასი-ს; მიმართვისას—გერვასი!)  
 გერონტი (მოთხრ.—გერონტი-მ, მიცემ.—გერონტი-ს; მიმართვისას—გერონტი!)  
 გივი (მოთხრ.—გივი-მ, მიცემ.—გივი-ს; მიმართვისას—გივი!)  
 გიორგი (მოთხრ.—გიორგი-მ, მიცემ.—გიორგი-ს; მიმართვისას—გიორგი!)  
 გოდერძი (მოთხრ.—გოდერძი-მ, მიცემ.—გოდერძი-ს; მიმართვისას—გოდერძი!)  
 დაჩი (მოთხრ.—დაჩი-მ, მიცემ.—დაჩი-ს; მიმართვისას—დაჩი!)  
 დევი (მოთხრ.—დევი-მ, მიცემ.—დევი-ს; მიმართვისას—დევი!)  
 დიმიტრი (მოთხრ.—დიმიტრი-მ, მიცემ.—დიმიტრი-ს; მიმართვისას—დიმიტრი!)  
 დომენტი (მოთხრ.—დომენტი-მ, მიცემ.—დომენტი-ს; მიმართვისას—დომენტი!)  
 ევგენი (მოთხრ.—ევგენი-მ, მიცემ.—ევგენი-ს; მიმართვისას—ევგენი!)  
 ევსევი (მოთხრ.—ევსევი-მ, მიცემ.—ევსევი-ს; მიმართვისას—ევსევი!)  
 ერასტი (მოთხრ.—ერასტი-მ, მიცემ.—ერასტი-ს; მიმართვისას—ერასტი!)  
 ვახუშტი (მოთხრ.—ვახუშტი-მ, მიცემ.—ვახუშტი-ს; მიმართვისას—ვახუშტი!)  
 ირაკლი (მოთხრ.—ირაკლი-მ, მიცემ.—ირაკლი-ს; მიმართვისას—ირაკლი!)  
 კლიმენტი (მოთხრ.—კლიმენტი-მ, მიცემ.—კლიმენტი-ს; მიმართვისას—კლიმენტი!)  
 კორნელი (მოთხრ.—კორნელი-მ, მიცემ.—კორნელი-ს; მიმართვისას—კორნელი!)  
 ლავრენტი (მოთხრ.—ლავრენტი-მ, მიცემ.—ლავრენტი-ს; მიმართვისას—ლავრენტი!)  
 ლეონტი (მოთხრ.—ლეონტი-მ, მიცემ.—ლეონტი-ს; მიმართვისას—ლეონტი!)  
 მეჭი (მოთხრ.—მეჭი-მ, მიცემ.—მეჭი-ს; მიმართვისას—მეჭი!)  
 პროკოფი (მოთხრ.—პროკოფი-მ, მიცემ.—პროკოფი-ს; მიმართვისას—პროკოფი!)  
 რატი (მოთხრ.—რატი-მ, მიცემ.—რატი-ს; მიმართვისას—რატი!)  
 სევსტი (მოთხრ.—სევსტი-მ, მიცემ.—სევსტი-ს; მიმართვისას—სევსტი!)  
 სერგი (მოთხრ.—სერგი-მ, მიცემ.—სერგი-ს; მიმართვისას—სერგი!)

ტარასი (მოთხრ.—ტარასი-მ, მიცემ.—ტარასი-ს; მიმართვისას—ტარასი!)  
 ტერენტი (მოთხრ.—ტერენტი-მ, მიცემ.—ტერენტი-ს; მიმართვისას—ტერენტი!)  
 ჭიშვარდი (მოთხრ.—ჭიშვარდი-მ, მიცემ.—ჭიშვარდი-ს; მიმართვისას—ჭიშვარდი!)  
 ქუჯი (მოთხრ.—ქუჯი-მ, მიცემ.—ქუჯი-ს; მიმართვისას—ქუჯი!)  
 ხარლამპი (მოთხრ.—ხარლამპი-მ, მიცემ.—ხარლამპი-ს; მიმართვისას—ხარლამპი!)

### B. სახელები, რომლებშიც ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია

ასინეთი (მოთხრ.—ასინეთ-მა, მიცემ.—ასინეთ-ს; მიმართვისას—ასინეთ!)  
 ასმათი (მოთხრ.—ასმათ-მა, მიცემ.—ასმათ-ს; მიმართვისას—ასმათ!)  
 გულნაზი (მოთხრ.—გულნაზ-მა, მიცემ.—გულნაზ-ს; მიმართვისას—გულნაზი!)  
 გულქანი (მოთხრ.—გულქან-მა, მიცემ.—გულქან-ს; მიმართვისას—გულქანი!)  
 დავარი (მოთხრ.—დავარ-მა, მიცემ.—დავარ-ს; მიმართვისას—დავარი!)  
 დარეჯანი (მოთხრ.—დარეჯან-მა, მიცემ.—დარეჯან-ს; მიმართვისას—დარეჯანი!)  
 ეთერი (მოთხრ.—ეთერ-მა, მიცემ.—ეთერ-ს; მიმართვისას—ეთერი!)  
 ელისაბედი (მოთხრ.—ელისაბედ-მა, მიცემ.—ელისაბედ-ს; მიმართვისას—  
 ელისაბედი!)

ზეინაბი (მოთხრ.—ზეინაბ-მა, მიცემ.—ზეინაბ-ს; მიმართვისას—ზეინაბი!)  
 თამარი (მოთხრ.—თამარ-მა, მიცემ.—თამარ-ს; მიმართვისას—თამარი!)  
 თინათინი (მოთხრ.—თინათინ-მა, მიცემ.—თინათინ-ს; მიმართვისას—თინათინი!)  
 ივლითი (მოთხრ.—ივლით-მა, მიცემ.—ივლით-ს; მიმართვისას—ივლითი!)  
 მარეხი (მოთხრ.—მარეხ-მა, მიცემ.—მარეხ-ს; მიმართვისას—მარეხი!)  
 მარიამი (მოთხრ.—მარიამ-მა, მიცემ.—მარიამ-ს; მიმართვისას—მარიამი!)  
 მზევინარი (მოთხრ.—მზევინარ-მა, მიცემ.—მზევინარ-ს; მიმართვისას—მზევინარი!)  
 ნესტანი (მოთხრ.—ნესტან-მა, მიცემ.—ნესტან-ს; მიმართვისას—ნესტანი!)  
 როდამი (მოთხრ.—როდამ-მა, მიცემ.—როდამ-ს; მიმართვისას—როდამი!)  
 რუსულანი (მოთხრ.—რუსულან-მა, მიცემ.—რუსულან-ს; მიმართვისას—  
 რუსულანი!)

ფატმანი (მოთხრ.—ფატმან-მა, მიცემ.—ფატმან-ს; მიმართვისას—ფატმანი!)  
 ქეთევანი (მოთხრ.—ქეთევან-მა, მიცემ.—ქეთევან-ს; მიმართვისას—ქეთევანი!)  
 შუშანიკი (მოთხრ.—შუშანიკ-მა, მიცემ.—შუშანიკ-ს; მიმართვისას—შუშანიკი!)  
 ხორეშანი (მოთხრ.—ხორეშან-მა, მიცემ.—ხორეშან-ს; მიმართვისას—ხორეშანი!)  
 აბელი (მოთხრ.—აბელ-მა, მიცემ.—აბელ-ს; მიმართვისას—აბელი!)  
 აბესალომი (მოთხრ.—აბესალომ-მა, მიცემ.—აბესალომ-ს; მიმართვისას—  
 აბესალომი!)

აბრამი (მოთხრ.—აბრამ-მა, მიცემ.—აბრამ-ს; მიმართვისას—აბრამი!)  
 ადამი (მოთხრ.—ადამ-მა, მიცემ.—ადამ-ს; მიმართვისას—ადამი!)  
 აეტი (მოთხრ.—აეტ-მა, მიცემ.—აეტ-ს; მიმართვისას—აეტი!)  
 აეთანდილი (მოთხრ.—აეთანდილ-მა, მიცემ.—აეთანდილ-ს; მიმართვისას—  
 აეთანდილი!)

ალმასხანი (მოთხრ.—ალმასხან-მა, მიცემ.—ალმასხან-ს; მიმართვისას—  
 ალმასხანი!)

ამირანი (მოთხრ.—ამირან-მა, მიცემ.—ამირან-ს; მიმართვისას—ამირანი!)

ანდუყაფარი (მოთხრ.—ანდუყაფარ-მა, მიცემ.—ანდუყაფარ-ს; მიმართვისას—  
 ანდუყაფარი!)

ანზორი (მოთხრ.—ანზორ-მა, მიცემ.—ანზორ-ს; მიმართვისას—ანზორი!)



ანთიმოზ-ი (მოთხრ.—ანთიმოზ-მა, მიცემ.—ანთიმოზ-ს; მიმართვისას — ანთიმოზ!)  
ანტონ-ი (მოთხრ.—ანტონ-მა, მიცემ.—ანტონ-ს; მიმართვისას — ანტონ!)  
აპოლონ-ი (მოთხრ.—აპოლონ-მა, მიცემ.—აპოლონ-ს; მიმართვისას — აპოლონ!)  
არონ-ი (მოთხრ.—არონ-მა, მიცემ.—არონ-ს; მიმართვისას — არონ!)  
არსენ-ი (მოთხრ.—არსენ-მა, მიცემ.—არსენ-ს; მიმართვისას — არსენ!)  
არტემ-ი (მოთხრ.—არტემ-მა, მიცემ.—არტემ-ს; მიმართვისას — არტემ!)  
არჩილ-ი (მოთხრ.—არჩილმა, მიცემ.—არჩილ-ს; მიმართვისას — არჩილ!)  
არჯევან-ი (მოთხრ.—არჯევან-მა, მიცემ.—არჯევან-ს; მიმართვისას — არჯევან!)  
ასლან-ი (მოთხრ.—ასლან-მა, მიცემ.—ასლან-ს; მიმართვისას — ასლან!)  
აფრასიონ-ი (მოთხრ.—აფრასიონ-მა, მიცემ.—აფრასიონ-ს; მიმართვისას —  
აფრასიონ!)

ბაადურ-ი (მოთხრ.—ბაადურ-მა, მიცემ.—ბაადურ-ს; მიმართვისას — ბაადურ!)  
ბაგრატ-ი (მოთხრ.—ბაგრატ-მა, მიცემ.—ბაგრატ-ს; მიმართვისას — ბაგრატ!)  
ბაკურ-ი (მოთხრ.—ბაკურ-მა, მიცემ.—ბაკურ-ს; მიმართვისას — ბაკურ!)  
ბაქარ-ი (მოთხრ.—ბაქარ-მა, მიცემ.—ბაქარ-ს; მიმართვისას — ბაქარ!)  
ბებულ-ი (მოთხრ.—ბებულ-მა, მიცემ.—ბებულ-ს; მიმართვისას — ბებულ!)  
ბეგლარ-ი (მოთხრ.—ბეგლარ-მა, მიცემ.—ბეგლარ-ს; მიმართვისას — ბეგლარ!)  
ბენიამენ-ი (მოთხრ.—ბენიამენ-მა, მიცემ.—ბენიამენს; მიმართვისას — ბენიამენ!)  
ბეჟან-ი (მოთხრ.—ბეჟან-მა, მიცემ.—ბეჟან-ს; მიმართვისას — ბეჟან!)  
ბესარიონ-ი (მოთხრ.—ბესარიონ-მა, მიცემ.—ბესარიონ-ს; მიმართვისას —  
ბესარიონ!)

ბესიკ-ი (მოთხრ.—ბესიკ-მც, მიცემ.—ბესიკ-ს; მიმართვისას — ბესიკ!)  
ბეშქენ-ი (მოთხრ.—ბეშქენ-მა, მიცემ.—ბეშქენ-ს; მიმართვისას — ბეშქენ!)  
ბორის-ი (მოთხრ.—ბორის-მა, მიცემ.—ბორის-ს; მიმართვისას — ბორის!)  
გაბრიელ-ი (მოთხრ.—გაბრიელ-მა, მიცემ.—გაბრიელ-ს; მიმართვისას —  
გაბრიელ!)

გაიოზ-ი (მოთხრ.—გაიოზ-მა, მიცემ.—გაიოზ-ს; მიმართვისას — გაიოზ!)  
გალაქტიონ-ი (მოთხრ.—გალაქტიონ-მა, მიცემ.—გალაქტიონ-ს; მიმართვისას —  
გალაქტიონ!)

გარსევან-ი (მოთხრ.—გარსევან-მა, მიცემ.—გარსევან-ს; მიმართვისას — გარსევან!)  
გედევან-ი (მოთხრ.—გედევან-მა, მიცემ.—გედევან-ს; მიმართვისას — გედევან!)  
გობრონ-ი (მოთხრ.—გობრონ-მა, მიცემ.—გობრონ-ს; მიმართვისას — გობრონ!)  
გოგოთურ-ი (მოთხრ.—გოგოთურ-მა, მიცემ.—გოგოთურ-ს; მიმართვისას —  
გოგოთურ!)

გრიგოლ-ი (მოთხრ.—გრიგოლ-მა, მიცემ.—გრიგოლ-ს; მიმართვისას — გრიგოლ!)  
გულბათ-ი (მოთხრ.—გულბათ-მა, მიცემ.—გულბათ-ს; მიმართვისას —  
გულბათ!)

გურამ-ი (მოთხრ.—გურამ-მა, მიცემ.—გურამ-ს; მიმართვისას — გურამ!)  
გურგენ-ი (მოთხრ.—გურგენ-მა, მიცემ.—გურგენ-ს; მიმართვისას — გურგენ!)  
დავით-ი (მოთხრ.—დავით-მა, მიცემ.—დავით-ს; მიმართვისას — დავით!)  
დანიელ-ი (მოთხრ.—დანიელ-მა, მიცემ.—დანიელ-ს; მიმართვისას — დანიელ!)  
ღარისპან-ი (მოთხრ.—ღარისპან-მა, მიცემ.—ღარისპან-ს; მიმართვისას —  
ღარისპან!)

ღურმიშხან-ი (მოთხრ.—ღურმიშხან-მა, მიცემ.—ღურმიშხან-ს; მიმართვისას —  
ღურმიშხან!)

ელიშერ-ი (მოთხრ. — ელიშერ-მა, მიცემ. — ელიშერ-ს; მიმართვისას — ელიშერ!)  
ვეღემონ-ი (მოთხრ. — ვეღემონ-მა, მიცემ. — ვეღემონ-ს; მიმართვისას — ვეღემონ!)  
ელიზბარ-ი (მოთხრ. — ელიზბარ-მა, მიცემ. — ელიზბარ-ს, მიმართვისას —  
ელიზბარ!)

ეფრემ-ი (მოთხრ. — ეფრემ-მა, მიცემ. — ეფრემ-ს; მიმართვისას — ეფრემ!)  
ვარაზ-ი (მოთხრ. — ვარაზ-მა, მიცემ. — ვარაზ-ს; მიმართვისას — ვარაზ!)  
ვარამ-ი (მოთხრ. — ვარამ-მა, მიცემ. — ვარამ-ს; მიმართვისას — ვარამ!)  
ვარდენ-ი (მოთხრ. — ვარდენ-მა, მიცემ. — ვარდენ-ს; მიმართვისას — ვარდენ!)  
ვასილ-ი (მოთხრ. — ვასილ-მა, მიცემ. — ვასილ-ს; მიმართვისას — ვასილ!)  
ვახტანგ-ი (მოთხრ. — ვახტანგ-მა, მიცემ. — ვახტანგ-ს; მიმართვისას — ვახტანგ!)  
ვიქტორ-ი (მოთხრ. — ვიქტორ-მა, მიცემ. — ვიქტორ-ს; მიმართვისას — ვიქტორ!)  
ვლადიმერ-ი (მოთხრ. — ვლადიმერ-მა, მიცემ. — ვლადიმერ-ს; მიმართვისას —  
ვლადიმერ!)

ზაალ-ი (მოთხრ. — ზაალ-მა, მიცემ. — ზაალ-ს; მიმართვისას — ზაალ!)  
ზვიად-ი (მოთხრ. — ზვიად-მა, მიცემ. — ზვიად-ს; მიმართვისას — ზვიად!)  
ზურაბ-ი (მოთხრ. — ზურაბ-მა, მიცემ. — ზურაბ-ს; მიმართვისას — ზურაბ!)  
თადეოზ-ი (მოთხრ. — თადეოზმა, მიცემ. — თადეოზ-ს; მიმართვისას — თადეოზ!)  
თამაზ-ი (მოთხრ. — თამაზ-მა, მიცემ. — თამაზ-ს; მიმართვისას — თამაზ!)  
თარხან-ი (მოთხრ. — თარხან-მა, მიცემ. — თარხან-ს; მიმართვისას — თარხან!)  
თეიმურაზ-ი (მოთხრ. — თეიმურაზ-მა, მიცემ. — თეიმურაზ-ს; მიმართვისას —  
თეიმურაზ!)

თენგიზ-ი (მოთხრ. — თენგიზ-მა, მიცემ. — თენგიზ-ს; მიმართვისას — თენგიზ!)  
იაგორ-ი (მოთხრ. — იაგორ-მა, მიცემ. — იაგორ-ს; მიმართვისას — იაგორ!)  
იაკობ-ი (მოთხრ. — იაკობ-მა, მიცემ. — იაკობ-ს; მიმართვისას — იაკობ!)  
იასონ-ი (მოთხრ. — იასონ-მა, მიცემ. — იასონ-ს; მიმართვისას — იასონ!)  
ილარიონ-ი (მოთხრ. — ილარიონ-მა, მიცემ. — ილარიონ-ს; მიმართვისას —  
ილარიონ!)

იოველ-ი (მოთხრ. — იოველ-მა, მიცემ. — იოველ-ს; მიმართვისას — იოველ!)  
იოთამ-ი (მოთხრ. — იოთამ-მა, მიცემ. — იოთამ-ს; მიმართვისას — იოთამ!)  
იორამ-ი (მოთხრ. — იორამ-მა, მიცემ. — იორამ-ს; მიმართვისას — იორამ!)  
იოსებ-ი (მოთხრ. — იოსებ-მა, მიცემ. — იოსებ-ს; მიმართვისას — იოსებ!)  
იროდიონ-ი (მოთხრ. — იროდიონ-მა, მიცემ. — იროდიონ-ს; მიმართვისას —  
იროდიონ!)

ისაკ-ი (მოთხრ. — ისაკ-მა, მიცემ. — ისაკ-ს; მიმართვისას — ისაკ!)  
იულონ-ი (მოთხრ. — იულონ-მა, მიცემ. — იულონ-ს; მიმართვისას — იულონ!)  
კანდილ-ი (მოთხრ. — კანდილ-მა, მიცემ. — კანდილ-ს; მიმართვისას — კანდილ!)  
კაპიტონ-ი (მოთხრ. — კაპიტონ-მა, მიცემ. — კაპიტონ-ს; მიმართვისას — კაპიტონ!)  
კარპეზ-ი (მოთხრ. — კარპეზ-მა, მიცემ. — კარპეზ-ს; მიმართვისას — კარპეზ!)  
კახაბერ-ი (მოთხრ. — კახაბერ-მა, მიცემ. — კახაბერ-ს; მიმართვისას — კახაბერ!)  
ლევან-ი (მოთხრ. — ლევან-მა, მიცემ. — ლევან-ს; მიმართვისას — ლევან!)  
ლიპარიტი-ი (მოთხრ. — ლიპარიტი-მა, მიცემ. — ლიპარიტი-ს; მიმართვისას —  
ლიპარიტი!)

ლომინ-ი (მოთხრ. — ლომინ-მა, მიცემ. — ლომინ-ს; მიმართვისას — ლომინ!)  
ლონგინოზ-ი (მოთხრ. — ლონგინოზ-მა, მიცემ. — ლონგინოზ-ს; მიმართვისას —  
ლონგინოზ!)

ლუარსაბ-ი (მოთხრ. — ლუარსაბ-მა, მიცემ. — ლუარსაბ-ს; მიმართვისას — ლუარსაბ!)  
 ლუხუმ-ი (მოთხრ. — ლუხუმ-მა, მიცემ. — ლუხუმ-ს; მიმართვისას — ლუხუმ!)  
 მაკარ-ი (მოთხრ. — მაკარ-მა, მიცემ. — მაკარ-ს; მიმართვისას — მაკარ!)  
 მალხაზ-ი (მოთხრ. — მალხაზ-მა, მიცემ. — მალხაზ-ს; მიმართვისას — მალხაზ!)  
 მანუჩარ-ი (მოთხრ. — მანუჩარ-მა, მიცემ. — მანუჩარ-ს; მიმართვისას — მანუჩარ!)  
 მარკოზ-ი (მოთხრ. — მარკოზ-მა, მიცემ. — მარკოზ-ს; მიმართვისას — მარკოზ!)  
 მელიტონ-ი (მოთხრ. — მელიტონ-მა, მიცემ. — მელიტონ-ს; მიმართვისას — მელიტონ!)  
 მელქისედეკ-ი (მოთხრ. — მელქისედეკ-მა, მიცემ. — მელქისედეკ-ს; მიმართვისას — მელქისედეკ!)  
 მერაბ-ი (მოთხრ. — მერაბ-მა, მიცემ. — მერაბ-ს; მიმართვისას — მერაბ!)  
 მზეჭაბუკ-ი (მოთხრ. — მზეჭაბუკ-მა, მიცემ. — მზეჭაბუკ-ს; მიმართვისას — მზეჭაბუკ!)  
 მირიან-ი (მოთხრ. — მირიან-მა, მიცემ. — მირიან-ს; მიმართვისას — მირიან!)  
 მიხეილ-ი (მოთხრ. — მიხეილ-მა, მიცემ. — მიხეილ-ს; მიმართვისას — მიხეილ!)  
 მურზაყან-ი (მოთხრ. — მურზაყან-მა, მიცემ. — მურზაყან-ს; მიმართვისას — მურზაყან!)  
 მურმან-ი (მოთხრ. — მურმან-მა, მიცემ. — მურმან-ს; მიმართვისას — მურმან!)  
 მუხრან-ი (მოთხრ. — მუხრან-მა, მიცემ. — მუხრან-ს; მიმართვისას — მუხრან!)  
 ნესტორ-ი (მოთხრ. — ნესტორ-მა, მიცემ. — ნესტორ-ს; მიმართვისას — ნესტორ!)  
 ნიკოლოზ-ი (მოთხრ. — ნიკოლოზ-მა, მიცემ. — ნიკოლოზ-ს; მიმართვისას — ნიკოლოზ!)  
 ნოდარ-ი (მოთხრ. — ნოდარ-მა, მიცემ. — ნოდარ-ს; მიმართვისას — ნოდარ!)  
 ნოშრევან-ი (მოთხრ. — ნოშრევან-მა, მიცემ. — ნოშრევან-ს; მიმართვისას — ნოშრევან!)  
 ნუგზარ-ი (მოთხრ. — ნუგზარ-მა, მიცემ. — ნუგზარ-ს; მიმართვისას — ნუგზარ!)  
 ოთარ-ი (მოთხრ. — ოთარ-მა, მიცემ. — ოთარ-ს; მიმართვისას — ოთარ!)  
 ორბელ-ი (მოთხრ. — ორბელ-მა, მიცემ. — ორბელ-ს; მიმართვისას — ორბელ!)  
 ოქროპირ-ი (მოთხრ. — ოქროპირ-მა, მიცემ. — ოქროპირ-ს; მიმართვისას — ოქროპირ!)  
 პანტელეიმონ-ი (მოთხრ. — პანტელეიმონ-მა, მიცემ. — პანტელეიმონ-ს; მიმართვისას — პანტელეიმონ!)  
 პართენ-ი (მოთხრ. — პართენ-მა, მიცემ. — პართენ-ს; მიმართვისას — პართენ!)  
 პარმენ-ი (მოთხრ. — პარმენ-მა, მიცემ. — პარმენ-ს; მიმართვისას — პარმენ!)  
 პიმენ-ი (მოთხრ. — პიმენ-მა, მიცემ. — პიმენ-ს; მიმართვისას — პიმენ!)  
 პლატონ-ი (მოთხრ. — პლატონ-მა, მიცემ. — პლატონ-ს; მიმართვისას — პლატონ!)  
 რაიბულ-ი (მოთხრ. — რაიბულ-მა, მიცემ. — რაიბულ-ს; მიმართვისას — რაიბულ!)  
 რამაზ-ი (მოთხრ. — რამაზ-მა, მიცემ. — რამაზ-ს; მიმართვისას — რამაზ!)  
 რაჟდენ-ი (მოთხრ. — რაჟდენ-მა, მიცემ. — რაჟდენ-ს; მიმართვისას — რაჟდენ!)  
 რაფიელ-ი (მოთხრ. — რაფიელ-მა, მიცემ. — რაფიელ-ს; მიმართვისას — რაფიელ!)  
 რევაზ-ი (მოთხრ. — რევაზ-მა, მიცემ. — რევაზ-ს; მიმართვისას — რევაზ!)  
 როინ-ი (მოთხრ. — როინ-მა, მიცემ. — როინ-ს; მიმართვისას — როინ!)  
 რომანოზ-ი (მოთხრ. — რომანოზ-მა, მიცემ. — რომანოზ-ს; მიმართვისას — რომანოზ!)  
 რომან-ი (მოთხრ. — რომან-მა, მიცემ. — რომან-ს; მიმართვისას — რომან!)  
 როსტევეან-ი (მოთხრ. — როსტევეან-მა, მიცემ. — როსტევეან-ს; მიმართვისას — როსტევეან!)

როსტომ-ი (მოთხრ. — როსტომ-მა, მიცემ. — როსტომ-ს; მიმართვისას — როსტომი!)  
 სამოელ-ი (მოთხრ. — სამოელ-მა, მიცემ. — სამოელ-ს; მიმართვისას — სამოელი!)  
 სამსონ-ი (მოთხრ. — სამსონ-მა, მიცემ. — სამსონ-ს; მიმართვისას — სამსონი!)  
 სარდიონ-ი (მოთხრ. — სარდიონ-მა, მიცემ. — სარდიონ-ს; მიმართვისას — სარდიონი!)  
 სარიდან-ი (მოთხრ. — სარიდან-მა, მიცემ. — სარიდან-ს; მიმართვისას — სარიდანი!)  
 საურმაგ-ი (მოთხრ. — საურმაგ-მა, მიცემ. — საურმაგ-ს; მიმართვისას — საურმაგი!)  
 სეით-ი (მოთხრ. — სეით-მა, მიცემ. — სეით-ს; მიმართვისას — სეითი!)  
 სერაპიონ-ი (მოთხრ. — სერაპიონ-მა, მიცემ. — სერაპიონ-ს; მიმართვისას —  
 სერაპიონი!)  
 სილოვან-ი (მოთხრ. — სილოვან-მა, მიცემ. — სილოვან-ს; მიმართვისას — სილოვანი!)  
 სიმონ-ი (მოთხრ. — სიმონ-მა, მიცემ. — სიმონ-ს; მიმართვისას — სიმონი!)  
 სოკრატ-ი (მოთხრ. — სოკრატ-მა, მიცემ. — სოკრატ-ს; მიმართვისას — სოკრატი!)  
 სოლომონ-ი (მოთხრ. — სოლომონ-მა, მიცემ. — სოლომონ-ს; მიმართვისას —  
 სოლომონი!)  
 სოსლან-ი (მოთხრ. — სოსლან-მა, მიცემ. — სოსლან-ს; მიმართვისას — სოსლანი!)  
 სოფრომ-ი (მოთხრ. — სოფრომ-მა, მიცემ. — სოფრომ-ს; მიმართვისას — სოფრომი!)  
 სპირიდონ-ი (მოთხრ. — სპირიდონ-მა, მიცემ. — სპირიდონ-ს; მიმართვისას —  
 სპირიდონი!)  
 სულხან-ი (მოთხრ. — სულხან-მა, მიცემ. — სულხან-ს; მიმართვისას — სულხანი!)  
 ტარიელ-ი (მოთხრ. — ტარიელ-მა, მიცემ. — ტარიელ-ს; მიმართვისას — ტარიელი!)  
 ტრიფონ-ი (მოთხრ. — ტრიფონ-მა, მიცემ. — ტრიფონ-ს; მიმართვისას — ტრიფონი!)  
 უშანგ-ი (მოთხრ. — უშანგ-მა, მიცემ. — უშანგ-ს; მიმართვისას — უშანგი!)  
 ფარნაოზ-ი (მოთხრ. — ფარნაოზ-მა, მიცემ. — ფარნაოზ-ს; მიმართვისას —  
 ფარნაოზი!)  
 ფარსადან-ი (მოთხრ. — ფარსადან-მა, მიცემ. — ფარსადან-ს; მიმართვისას —  
 ფარსადანი!)  
 ფარსმან-ი (მოთხრ. — ფარსმან-მა, მიცემ. — ფარსმან-ს; მიმართვისას — ფარსმანი!)  
 ფილიმონ-ი (მოთხრ. — ფილიმონ-მა, მიცემ. — ფილიმონ-ს; მიმართვისას —  
 ფილიმონი!)  
 ფირან-ი (მოთხრ. — ფირან-მა, მიცემ. — ფირან-ს; მიმართვისას — ფირანი!)  
 ფრიდონ-ი (მოთხრ. — ფრიდონ-მა, მიცემ. — ფრიდონ-ს; მიმართვისას — ფრიდონი!)  
 ქავთარ-ი (მოთხრ. — ქავთარ-მა, მიცემ. — ქავთარ-ს; მიმართვისას — ქავთარი!)  
 ქართლოს-ი (მოთხრ. — ქართლოს-მა, მიცემ. — ქართლოს-ს; მიმართვისას —  
 ქართლოსი!)  
 ლენტორ-ი (მოთხრ. — ლენტორ-მა, მიცემ. — ლენტორ-ს; მიმართვისას — ლენტორი!)  
 ყარამან-ი (მოთხრ. — ყარამან-მა, მიცემ. — ყარამან-ს; მიმართვისას — ყარამანი!)  
 ყაფლან-ი (მოთხრ. — ყაფლან-მა, მიცემ. — ყაფლან-ს; მიმართვისას — ყაფლანი!)  
 შავლეგ-ი (მოთხრ. — შავლეგ-მა, მიცემ. — შავლეგ-ს; მიმართვისას — შავლეგი!)  
 შერგილ-ი (მოთხრ. — შერგილ-მა, მიცემ. — შერგილ-ს; მიმართვისას — შერგილი!)  
 შერვაღინ-ი (მოთხრ. — შერვაღინ-მა, მიცემ. — შერვაღინ-ს; მიმართვისას —  
 შერვაღინი!)  
 ჭიბჭურ-ი (მოთხრ. — ჭიბჭურ-მა, მიცემ. — ჭიბჭურ-ს; მიმართვისას — ჭიბჭური!)  
 ხარიტონ-ი (მოთხრ. — ხარიტონ-მა, მიცემ. — ხარიტონ-ს; მიმართვისას — ხარიტონი!)  
 ჯიმშედ-ი (მოთხრ. — ჯიმშედ-მა, მიცემ. — ჯიმშედ-ს; მიმართვისას — ჯიმშედი!)  
 ჯიმშერი-ი (მოთხრ. — ჯიმშერი-მა, მიცემ. — ჯიმშერი-ს; მიმართვისას — ჯიმშერი!)  
 ჯუანშერი-ი (მოთხრ. — ჯუანშერი-მა, მიცემ. — ჯუანშერი-ს; მიმართვისას — ჯუანშერი!)  
 ჯუმბერი-ი (მოთხრ. — ჯუმბერი-მა, მიცემ. — ჯუმბერი-ს; მიმართვისას — ჯუმბერი!)